№ 247 29 ნოემერი, ხუთშაბათი 1866—1879 29 ნოემბერი. ხუთშაბათი № 247

დროება

ᲧᲝᲚᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

ფასი განცხადებისა: ერთ სტრიქონად ასოზე 1 კაპ., ბეჭდულ ქვრეულ ცალ ცერთი— 5 კაპ., პატარათი— 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შემოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სოფია, 26 ნოემბერს. მთავარისაგან წარმომადგენელთა პალატის დახურვის გამო, ოპოზიციური წევრები ამ პალატისა ძალიან აღელვებულნი არიან.

ცეტინიე, 26 ნოემბერს. ჩერნოგორიელებსა და ალბანელებს შუა შეტაკება და სისხლის-ღვრა მოხდა ველიკაიასთან. ჩერნოგორიელებმა გაიმარჯვეს.

პეტერბურღი, 26 ნოემბერს. მთავრობამ ხელ-ახლად მისცა გაზეთს „პეტერბურღის ვედომოსტებს“ ნება-რთვა ცალკე ნომრების გაყიდვისა.

კავკასიის მთეგიდამ, 26 ნოემბერს. ღამე დიდი თოვლი მოვიდა და ახლაც მოდის. მლეთსა, ზუდაურსა და ქობს შუა თოვლისაგან გზა შეკრულია.

საქართველო

ქალაქის რჩევის სხდომა

26 ნოემბერს.

მას აქეთ, რაც ქალაქის თავის აღრჩევა ჰქონდათ ახალ ხმოსანთ, იმისთანა გაცხოველებული და გაცხარებული სხდომა არ ჰქონიათ თფილისის ახალ რჩევას, როგორიც ამ ორშაბათს იყო. 72 ხმოსანში 43 დაესწრო და თითქო ყველანი აპილპილებულნი და გაცხარებულნი იყვნენ.

ამ გაცხარების მიზეზი გახლავთ შემდეგნი:

ამ უკანასკნელს დროს უმაღლესმა მთავრობამ, თფილისში დიფტერიტის გავრცელების გამო, მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება ქალაქის სისუფთავეს; დიდმა მთავარმა კავკასიის ნამესტნიკმა ბრძანებაგმოსცა, პოლიციამ მოახდინოს ფიცხელი განკარგულებაო, რომ ყოველ სახლის პატრონმა თვითონ, თავის საშუალებით გაასუფთავოს თავის სახლის წინ ტროტუარი, ნახევარი ქუჩა, მაედანი და აგრეთვე ეზოეო; და ვინც ეს არ შეასრულოს, ის პოლიციამ მომრიგებელ მოსამართლეს წარუდგინოს, რომელიც ერთ თვეს სატუსაღოში ჩამწყვდევას ანუ ასს მანეთს ჯარიმას გარდაუწყვეტსო.

ნამესტნიკის ოფიციალურს ქაღალდში, რომელიც ამ საგნის შესახებ მიუწერია მისს უმაღლესობას მთავარ სამმართველოსთვის, სხვათა შორის მოხსენებულია, რომ „რაც შეეხება ქალაქის თვითმმართველობას, მე ვიტოვებ უფლებას იმის შესახებ, ვიხმარო ის ზომები, რომელთაც საჭიროდ დავინახავ“.

ეს უმაღლესი განკარგულება სასტიკად სრულდება ამ ჟამად ქალაქში. პოლიცია კარ-კარ დაიარება, უდგენს სახლის პატრონებს პროტოკოლებსა და ამ პროტოკოლების ძალით მომრიგებელნი მოსამართლენი, ჯარიმას ახდევინებენ იმათ ანუ ციხეში ჩამწყვდევას უწყვეტენ.

ქალაქის ბამგეობისა და სანიტარულ კომისიის აზრით, ქალაქის ცოტაც არის გასასუფთავებლად, საჭიროა წელიწადში 90,000 მანეთი დაიხარჯოს. ეს ფული უნდა შემოვიდეს ქალაქის ხაზინაში ახალ ხარჯის გაწერით სახლის მეპატრონეებზე; საკმაო იქმნებაო, რომ დასაფასებელი ხარჯის (ოცენოჩნი სბორის) 3/4 დაიდვას ყოველ სახლის პატრონზე, რადგან აქედამ სწორეთ 90,000 მანეთი შემოვაო, და ამასგარდა მომავალ წლის სმეტაში კიდევ 18,000 მანეთი არის ქალაქის ქუჩებისა და მაედნების გასასუფთავებლადაო. სულ ეს ფული რომ დაიხარჯოს, მაშინ შეიძლება დავაკმაყოფილოთ მთავრობის მოთხოვნილებაო.

ამასთანავე ბამგეობამ შემოიტანა წინადადება, რომ სახლის პატრონები განთავისუფლებულნი იქმნებიან თვითონ გასწმინდონ ქუჩები და მაედნები, რადგან ისინი ამ საგნისათვის ქალაქის ხაზინაში შეიტანენ დადებულ გარდასახადს.

ამ გარემოებისაგან იყვნენ ამ ორშაბათს ჩვენი ქალაქის რჩევის სახლის მეპატრონე ხმოსანნი აღელვებულნი.

სეკრეტარმა წაიკითხა უმაღლესი განკარგულება და გააცნო კრებას საქმის გარემოება.

ხმოსანმა უფ. ზარაფოვმა ამ საქმის შესახებ წარმოსთქვა ის აზრი, რომ სანამ ქალაქს არ ექმნება თავის წყალი ყველა ქუჩებში გაყვანილი და სანამ კარგი ქუჩები არ გაკეთდება, მანამ ქალაქის სისუფთავეს ჩვენ ვერ ველირსებითო. მაგრამ, რადგან თხოულობენ და რადგან ცოტათი მაინც გასუფთავება საჭიროა არისო, ამის გამო ხუთის წლის ვადით ვითხოვოთ ხაზინიდამ 180,000 მანეთი სესხად, მოვიხმაროთ ეს ფული ქალაქის გასასუფთავებელად და ამის გარდასახდელად რომელიმე ახალი გადასახადი დავნიშნოთო. მაგალითად კვარტირის გადასახადიო და სხვ.

ხმოს. ელიმირზოევმა სთქვა, რომ ეს ხარჯი ქალაქის საზოგადო შემოსავლიდამ უნდა წავიდესო. ამის გამო ჩვენ უნდა ეცდილობდეთო, რომ ქალაქს შემოსავალი მოემატოსო.

ხმოსანის ზამბაროვის აზრით, რადგან სახლის მეპატრონეები ამისთანა შეეიწროებაში არიან პოლიციისაგან, ამის გამო ჩვენ უნდა დავდოთ განჩინება, რომ თითოელ სახლის-პატრონმა შემოიტანოს ქალაქის ხაზინაში გარდაწყვეტილი ფული საკუთრივ ქუჩების გასასუფთავებელად და ამის შემდეგ ისინი განთავისუფლებულნი იქმნენ თვითონვე იზრუნონ ამ საგანზე; მაშინ პოლიცია ხელს ვეღარ ახლებს იმათთან. რაიცა შეეხება ხარჯს, საკმაო იქნებაო, რომ ახლანდელი 3/4 პროცენტი უძრავი მამულების დასაფასებელი ხარჯი ერთ პროცენტამდინ ავიყვანოთო და აქედამ ამ 1/4-დამ ქალაქს ექნება წელიწადში 60,000 მანეთი შემოსავალიო.

ხმოსანი ივანგულოვი ამტკიცებს, რომ თვითონ სახლის-მეპატრონეებს არ შეუძლიანთ პოლიციის მოთხოვნილების აღსრულება, რადგან ჩვენ არა გვყავს დვორნიკები (სახლის-ყარაულები), არა გვყავს მუშები, არ არის ურმები და პავოზკები და სხვ. ამის გამო ამ საქმის კისერა მხოლოთ ქალაქის ბამგეობას შეუძლიან, რომელმანც ამისთვის გადა-

სახადი უნდა მოუმატოს სახლის-მეპატრონეებს; ყველანი დიდის სიამოვნებით შემოიტანენ ამ გადასახადს, ოღონდ კი პოლიციის მოთხოვნილებისაგან, ჯარიმისა და ციხისაგან გაათავისუფლეთ ისინი. ჩემი აზრი ეს არისო, სთქვა ბოლოს უფ. მეანგულოვმა, რომ ამ საგნის ყოველივე მხრივ განსახილველად დავნიშნოთ კამისია, რომელმანც მომავალ ორშაბათისათვის წარმოგვიდგინოს თავის პროექტი და ანგარიში ქალაქის გასუფთავების თაობაზედ.

ხმოს. უფ. ნიკოლაძე იმ აზრის არის, რომ რჩევამ მიიღოს ქალაქის გამგეობის აზრი და ამფულით ცოტ-ცოტათი შეუდგეთ ქალაქის გასუფთავებას, რადგან ერთბაშათ ეს შეუძლებელია; თუ დღემდინ ყელამდინ ვიყავით ტალახში ჩაფლობილი, დღეის შემდეგ კოჭებამდინ ჩაფლობის უფლება მოგვეცესო.

ხმოს. ჩოლაყაშვილი. ყველაზე უფრო საჭირო ის არის, რომ ახლავე განვათავისუფლოთ სახლის-მეპატრონეები იმ შიშისაგან, რომელიც პოლიციამ და სასამართლომ მიაყენა ამათ; ამისათვის დავადგინოთ, რომ არავინ არ არის ვალდებული თვითონვე გაასუფთაოს თავის სახლის წინ ტროტუარი, ქუჩა და მაედანი, რადგან ამისათვის ის ხარჯს იხდის. ეს ჩვენი განჩინება ვაცნობოთ ახლავე უმაღლესს მთავრობას და ვსთხოვოთ, რომ თავის ფიცხელი განკარგულება მოსპოს. მანამ კი ჩვენ შეუდგეთ ქალაქის გასუფთავებას. ერთ დღეში და ერთ წელიწადში, ათასიც ვეცადოთ, ქალაქის გაწმენდა არ შეიძლება.

ხმოს. ი. ხატისოვი. მე მგონია, ერთი უმთავრესი გარემოება დაივიწყეს აქ ამ საგანზე მოლაპარაკეთ: ქალაქის ჰაერი ტალახისა და უსუფთაო ქუჩებისაგან კი არ არის წახდენილი და მავნებელი, არამედ იმ ეზოებისა და ფეხისადგილებისაგან, სადაც ყოველგვარი ნაგავი და უსუფთაობა გროვდება. ამის გამო, ჩემის აზრით, თუ გვსურს ქალაქის ჯანმთელობაზე ვიზრუნოთ, ყველაზე პირველად ამ ეზოებზე და ფეხის-ადგილებზე უნდა გვქონდეს ყურადღება მიქცეული.

ბოლოს, კიდევ ბევრი მოლაპარაკებისა და ბაასის შემდეგ, რჩევამ მიიღო შემდეგი გარდაწყვეტილება:

1) ყოველი სახლის-პატრონი განთავისუფლებული იქმნეს იმ მოვალეობისაგან, რომ თვითონ გაასუფთაოს თავის სახლის წინ ტროტუარი, ქუჩა და მაედანი; ამისთვის იმათ გადახდესთ გადაჭრილი ფული.

დღიური

*** ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში „ბრიტანიისა და უცხო ქვეყნათ ღვთის-მეტყველების საზოგადოებისაგან“ ახლად გამოცემული „წმინდა სახარება“ და „საქმე მოციქულთა“ (27 თავი).

წიგნი მშვენიერად, ჩინებულის შრიფტით და კარგს სქელ ქაღალდზედ არის დაბეჭდილი; შვენიერს ინგლისურს ყდაში არის გაკეთებული; შეიცავს 282 გვერდს. და ეს ამოდენა ასე კარგათ გამოცემული წიგნი ღირს სულ შვიდ შაურად.

ამ წიგნის გამოცემა, როგორც თვითონ „ბრიტანიის დაბადების საზოგადოების“ ტფილისელმა აგენტმა გვითხრა, საზოგადოებას სამ აბაზათა და სამ კაპეიკად დაჯდომია. აგენტი ძალიან კმაყოფილია იმისა, რომ იმათგან გამოცემული ქართული სამღვთო წერილის წიგნები ძალიან კარგათ იყიდება ხალხშიო; მაგალითად პირველი გამოცემა სახარებისა ორ წელიწადში ათი ათასი ეგზემპლიარი თითქმის სულ გაიყიდაო; „ფსალმუნი დავითისა“ ნახევარ წელიწადში სამი ათასამდინ გაიყიდაო და სხვ.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ მოსკოვის არხეოლოგიურ საზოგადოების თავმჯდომარეს გრაფ. უვაროვს, რომელიც ამას წინათ იყო ტფილისში, ჩამოჰყოლია თან ფოტოგრაფი ერმარკოვი, რომელსაც ტფ. ანჩის-ხატის ეკკლესიის ხელთუქმნელი და ზოგიერთი სხვა ხატები და სურათები გარდაუხატავს.

*** ჩვენ მივიღეთ დაბა საჩხერიდამ შემდეგი შენიშვნა გაზეთში დასაბეჭდათ:

„აქაურმა სოფლის ხევისთავებმა მიიღეს მთავრობისაგან დამტკიცება და კიდეც შეუდგნენ თავის ვალდებულების აღსრულებას.

„ამ ხევისთავებმა მიღებისათანავე თვისის თანამდებობისა გამოიჩინეს ზედმოქმედება ავაზაკებზე:

„სოფელს ჭალას, საჩხერის მახლობლად, წარსულს კვირაში გაქურდეს ეკკლესია, საიდგანაც ავაზაკებმა გაიტანეს ვერცხლის ნივთები, რაც კი რამ იყო ეკკლესიაში.

„დილას, როგორც კი გაიგეს, შეიკრიბნენ იმ სოფლის ხევისთავები და გარდასწყვიტეს, რომ მეორე დღეს გაეჩხრიკათ ყველა საეჭვო ოჯახი და მასთან მიიღეს საშუალება, რომ სოფლიდგან იმ ღამეს არსად არ გაეპარებინათ ნივთები. წარმოიდგინეთ, რომ მეორე დილას ყველა დაკარგული ნივთები ეკკლესიის კარებთან ნახეს დალაგებული.

„ეს ძალიან კარგი და სასიამოვნო, მაგრამ ამისთანა წესი და წყობილობა ჯერეთ ჩვენი უეზდის ბევრ საზოგადოებაში არ არის გამოცხადებული და შემოღებული და ამისათვის თუ ეს წყობილება, არათუ სრულიად ჩვენს უეზდში, არამედ მთელს გუბერნიაში რიგიანათ და ყველა სოფლებში არ იქმნა დადგენილი, სრულიად უსარგებლო შეიქნება.

„ამისათვის იმედი გვაქვს ამისთანა ხალხისათვის სასარგებლო საქმის ყურადღების მიქცევას არ დაიზარებენ იმათი, ვისაც ეს შეეხება“.

*** კავკასიის მთებიდამ 25 ნოემბერს გამოგზავნილი დეპეშა მოვიდა, რომ გუდაურის ახლო-მახლო ადგილებზე თოვლი მოსულა და გზა გაუფუჭებია ისე, რომ ტროიკას სიარული არ შეუძლიანო. გზას სწმენდნენო და ხვალ ფოჩტა გაივლისო.

„დროების“ კორრესპონდენცია

შემახა, 19 ნოემბერს. ერთს ამბავს შეგატყობინებთ, რომელსაც თქვენ ძნელათ დაიჯერებთ, მაგრამ ეს ნამდვილი ფაქტია:

შემახის მაზრაში, კურდომირის საპრისტავოში, არის ერთი სოფელი რომელსაც სახელათ ეძახიან კასუმ-ბეგლი... აქ ცხოვრებენ მარტო თათრები. ამ სოფელში მოვა და ცოტა ხანს დაჰყოფს შიხი (მურიდებში პატივცემული სასულიერო პირი). ამ შიხის მობძანებას გაიგებს ერთი იმ სოფლის კაცი, სახელათ სოფი-ყული ალი-ოღლი, რომელიც მოვა შიხთან და სთხოვს, რომ შიხმა ჩაიბაროს ყველა ქონება, რაცკი რამ აბადია სოფი-ყულის იმ პირობით, რომ ყველაფერი ისევ დაუბრუნოს იმასვე იმ ქვეყანას!

შიხი დათანხმდა. წავიდნენ, გაშინჯეს ბაღი. სოფი-ყული ეუბნება შიხსა:

— კარგათ დაათვალიერე ბაღი! სწორეთ ამისთანავე ბაღი უნდა დამიბრუნო იმ ქვეყანას!

შიხმა კარგათ გაშინჯა ბაღი და ჩაიბარა. ამასთან ერთი კარგი ცხენიც იმავე პირობით უბოძა შიხსა.

თავის მეუღლეს სოფი-ყულმა უთხრა:

— შიხი აქ არის, იმას არავინ ემსახურება, მეკი უნდა შენ მემსახურებოდეო! თავის ცოლი გაგზავნა შიხთან, რომელმაც იმსახურა ისა, ვითარცა მოსამსახურე და ცოლი...

როცა წასვლის დრო მოუვიდა შიხსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალი მიყიდა სოფი-ულისვე და ცოლიც დაუბრუნა. როგორც მე დამარწმუნეს, პოლიციის პრისტავმა, რომელიც საქმეებისა გამო მივიდა ხსენებულს სოფელს, დაიბარა სოფი-ULი და კითხა. რათ მიეცი შენი ქონება ვილაცა შიხსაო? იმან უპასუხა: „ჩემი ქონება მიეეცი ვის რა დავა აქვსო!“ შიხს სახელათ ეძახიან ზარბალი, ისიც შემახის მაზრის მცხოვრებელია, ხოლო სხვა საპრისტაოსი, ქაბრისტანისა.

ი. ბოდბელი.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ინგლისურს გაზეთებში დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული შემდეგი ახალი ამბები:

— სამხედრო საქმეებისათვის დანიშნულმა კომისიამ გარდაწყვიტა, რომ დღეის შეძლეგ ოსმალეთის არმიის სამსახურში მიიღება ყველა გვარ-ტომისა და რჯულის ხალხი ხონთქრის ქვეშევრდომთაგანი. სულთანმა დაამტკიცა ეს რეფორმა და თხოულობს, რომ ამგვარი წესი რაც შეიძლება მალე იქმნეს შემოღებული ოსმალეთის არმიაში.

— დარწმუნებით ამბობენ, რომ რუსეთის ელჩი თ. ლობანოვ-როსტოვსკი, რომელიც ამ დღეებში წავიდა სტამბოლიდამ, უკან აღარ დაბრუნდებაო. წასვლის წინათ ის ყოფილა სულთანთან და ურჩევია იმისთვის, რომ რაც შეიძლება მალე შემოიღოს თავის სახელმწიფოში ის ცვლილებანი (რეფორმები), რომელსაც ინგლისი ურჩევს.

საფრანგეთი

საფრანგეთის ბერლინელ ელჩს სან-ვალიეს ულაპარაკნია ამ დღეებში თ. ბისმარკთან და, როგორც ამბობენ, ამ უკანასკნელს დაურწმუნებია საფრანგეთის წარმომადგენელი, რომ გერმანიისა და ავსტრიის დამეგობრობა და დაკავშირება სრულიად არ უნდა აშინებდეს საფრანგეთსაო, არცერთ ჩვენთაგანს თქვენი ქვეყნის საწინააღმდეგო და სავნებელი არავითარი განზრახვა არა გვაქვსო. ჩვენი მიზანი მხოლოთ ის არისო, სთქვა თურმე თ. ბისმარკმა, რომ, თუ ევინეცობაა ევროპაში განხეთქილება და სისხლის-ღერა მოხდა, ამ შემთხვევაში გერმანია და ავსტრია ერთად იყვნენო, ერთს მტერს უმტრონ და ერთს მეგობარს უმეგობრონო.

ამ სან-ვალიესა და ბისმარკის საუბრის გამოცხადება ძალიან სასიამოვნოდ დარჩა ფრანცუზულ გაზეთებისათვის, რომელთაც ეჭვი ჰქონდათ, რომ ბისმარკი ხაფანგს რასმე უმზადებდა საფრანგეთს და ჩვენ-და სამტროდ უმეგობრდება ავსტრიასაო.

განცხადებანი

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობისაგან

ქუთაისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის სამმართველო აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე-18 §-ის ძალით, მომდინარე წლის 21 დეკემბერს დილის 10 საათიდან ქ. ქუთაისს. ბანკის სადგომზე, ი. ხეჩინოვის სახლებში, საზოგადო ვაჭრობით, ხელ-მეორედ ვაჭრობის დაუნიშნავად, გასყიდულ იქმნებიან ხსენებულ ბანკში დაგირავებულნი მამულნი ქვემო აღრიცხულთა პირთა, წესდებისამებრ ბანკის ხვედრთა ფულთა მათ ძიერ გადაუხდელობისა გამო.

ვაჭრობა მოისპობა მხოლოდ იმ მამულების შესახებ, რომელთა მეპატრონენი, იმავე წესდების მე-19 §-ისამებრ, შეავსებენ უკლესად გარდასახადთა ფულთა და აგრეთვე განცხადების ხარჯებს.

ბეარი, სახელი, მამის სახელი და წოდება მოვალეთა.	რა გვარი მამულია.	სად მდებარეობს მამული.	ვალი შემოსატანი ფულითურთ.	
			მან.	კაპ.
გურიელისა, ელენორა მიხაილის ასული, თავადი.	ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი აგეთვე სამზარეულოთ და 1,230 ოთხ-კუთხი საქენი ბალ-ეზოთ.	ქუთაისს. ბალახვანის ქუჩაზე.	4991	43
მურადაშვილი, თომა პაველეს ძე, მოქალაქე.	ერთ-სართულიანი ხის სახლი აგეთვე სამზარეულოთ და 806 ოთხ-კუთხი საქ. ეზოთ.	ქუთაისს, ალექსანდროვის ქუჩაზე.	838	31
იგივე.	ერთ-სართულიანი ქვით-კირის დუქანი, 54 ოთხ-კუთხი საქ. ეზოთ.	ქუთაისს, ალექსანდროვის ქუჩაზე.	1713	62
იგივე.	სახნავ-სათესი და ტყე, ზომით 12 დესიატინა და 1820 ოთხ-კუთხი საქენი.	ქუთაისის, უეზდი საღორიაზე.	1504	32
ფერეთელი, ნესტორ დიმიტრის ძე, თავ.	ორ-სართულიანი სახლი, რომლის ძირა სართული ქვით-კირისა, ხოლო ზედა-ხისა, 900 ოთხ-კუთხი საქ. ბალ-ეზოთ.	ქუთაისს, თფილისის ქუჩაზე.	6226	22
კიკიანისა, ტასია ბლახუას ასული, აზ.	ერთ-სართულიანი ხის სახლი, აგეთვე სამზარეულოთ და 144 ოთხ-კუთხი საქ. ეზოთ.	ქუთაისს, მეორე საპრისტაოში.	604	83
ჩხეიძისა, მელანია ქაიხოსროს ასული, აზნაური.	ზვარი, ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, ზომით 26 დესიატინა და 15 ოთხ-კუთხი საქენი.	სოფელსა ლახუნდარას შორაპ. უეზ.	4146	24
ჯაფარიძე, ტარიელ მერაბის ძე, თ.	ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, ზომით 2 დესიატინი და 1800 ოთხ-კუთხი საქენი.	სოფელსა ღარს რაჭის უეზდისა.	737	37
ჩიქოვანი, სისო მამუჩარის ძე, თავ.	ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, ზომით 31 დესიატინა და 200 ოთხ-კუთხი საქენი.	სოფელსა ლასურს ლეჩხუმის უეზდისა.	1471	65
გოთერაშვილი, აბრამ დანიელის ძე, და ელაშვილები, იოსებ და აბრამ შამელას ძენი, II გილდიის ვაჭარნი.	სახნავ-სათესი, ზომით 138 დესიატინა.	სოფელსა ჭყუშურს ქუთაისის უეზდისა.	26916	49
კიკიანისა, ანნა ფირანის ასული, აზ.	ეზო და სახნავ სათესი, ზომით 9 დესიატინა და 695 ოთხ-კუთხი საქენი.	სოფელსა პატრიკეთს, ქუთ. უეზდისა	739	28
ერისთავი, ივანე ოტიას ძე, თავადი.	სახნავ-სათესი და ზვარები, ზომით 84 დესიატინა და 1028 ოთხ-კუთხი საქენი.	სოფელთა: ამაღლებას, ინაშაურს და უხუთს ქუთაისის უეზდისა.	7276	28
ხიხაძე, სოსია ბერიკას ძე, გლეხი.	ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, ზომით 3 დესიატინა და 228 ოთხ-კუთხი საქენი.	სოფ. საზანოს. შორაპნის უეზდისა.	334	17

ხიხაძე, მამუკა ბერიკას ძ., გლეხი.	ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, ზომით 1 დესიატინა და 1561 ოთხ-კუთხი საჟენი.	სოფელსა საზანოს, შორაპნის უეზდისა.	227	78
მაჭავარიანისა, აგრაფენა ბეკოს ასული, გენერალ-მაიორის მეუღლე.	სახნავ-სათესი, ზომით 26 დესიატინა და 100 ოთხ-კუთხი საჟენი.	სოფელსა ტყაჩირს ქუთაისის უეზდისა.	2089	20
ლორთქიფანიძე, ბიორგი როსტომის ძე, თავადი.	ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, 378 ოთხ-კუთხი საჟენი ეზოით.	ქუთაისს, ლრპირის ქუჩაზე.	2110	52
ძუბენკოლისა, მარიამ პეტრეს ასული, შტაბს-კაპიტანის მეუღლე.	ერთ-სართულიანი ხის სახლი, 368 ოთხ-კუთხი საჟ. ეზოით.	ქუთაისს, ბალახვნის ქუჩაზე.	646	39
ზედგინიძე, ივანე იოსების ძე, ნადვორნი სოვეტნიკი.	ლრ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, 300 ოთხ-კუთხი საჟენი ეზოით.	ქუთაისს, მიხაილოვის ქუჩაზე.	12974	52
ერისთავისა, სოფიო ძაიხოსროს ასული, თავადი.	ლრ-სართულიანი სახლი, რომლის ძირა სართული ქვით-კირისაა, ხოლო ზედა ხისაა, 80 ოთხ-კუთხი საჟ. ეზოით.	ქუთაისს, ბალახვნის ქუჩაზე.	1099	69

(3—3)

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ იმის თან-დასწრებით იქნება პირველი და უკანასკნელი ვაჭრობა (უპერეტორჟკოთ) შემდეგს საგნებზედ;

1). 24 ნოემბერს 1879 წელსა იქნება ვაჭრობა ავლაბარში მდებარე საქალაქო მიწისა, სივრცით 1890 დესიატინის, და ძველი მიწის, სივრცით 237 დესიატინის, არენდით გაცემაზედ მომავალს 1880 წლს 1 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდე.

2). 7 დეკემბერს ამა 1879 წელს იქნება ვაჭრობა იჯარით გაცემაზედ იმ შემოსაელის მოკრებისა, რომელიც ქალაქსა აქვს მტკვრით ძოტანილი იმ ტიეებისაგან, რომელნიც ქალაქის კუთვნილ ნაპირებზედ ჩერდებიან. ვადა ამ იჯარისა ითელება მომავალი 1880 წლის 26 იანვრიდამ 1883 წლის 1 იანვრამდინ.

3). 7 დეკემბერს ამა 1879 წელსა იქნება ვაჭრობა იჯარით მიცემაზედ იმ ნავისა, რომელიც ქალქის ნავსადგურთან არის ვერაზე. ვადა ამ იჯარისა ითელება ამ 1880 წლის 26 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.

4). 4 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა იმ ხარჯის იჯარით გაცემაზედ, რომელსაც ქალაქში მომუშავე ფაეტონები, დროჟკები, პოვოზკები და სხვ. (იზვოზნი პრომისელ) იხდიან ქალაქის ხაზინის სასარგებლოდ. ვადა ითელება ამ 1880 წლის 1 იანვრიდამ 1883 წლის 1 იანვრამდინ.

5). 1 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა ცხენის ხარჯის იჯარით ზაცემაზედ. ვადა 1880 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.

6). 5 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა ქალაქის სასწორისა და საწყაოებისა და საწყაობის შემოსაელის იჯარით გაცემაზედ. ვადა ითელება 1880 წლის 26 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.

ყველა ამ იჯარებისა და არენდების პირობების (კანდიციების) ნახვა და გაცნობა მსურველთა შეუძლიანთ ქალაქის გამგეობის (უპრავის) კანცელარიაში მუდამ დღე, უქმ დღეებს გარდა, დილის 10 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდინ.

(13—10)

ბიბლიოგრაფიული ცნობა

პირველ-დასაწყისი კურსი რუსულის ენისა ქართველთათვის, შედგენილი ბ. ქალანდარიშვილისაგან, მეექვსე გამოცემა გადასწორებული და დამატებული ი. ბოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა და ისყიდება ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ტუკის ხიდთან. ფასი ეგზემპლიარისა ათი შაური. მაგრამ ვინც ოცს ეგზემპლიარს ერთად იყიდის ნაღდს ფულზედ, იმას წიგნი დაეთმობა ცხარა შაურათ, ხოლო ვინც ორმოც-და-ათზე მომეტებულს წაიღებს ერთათ ნაღდსავე ფულზედ, მას ეგზემპლიარი მიეცემა ორ აბაზათ.

(15—10)

კვირას, 9 დეკემბერს

თფილისის ქრუჟოკში

„**თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების**“ **შკოლის სასარგებლოდ** გამართული იქნება:

ბ ა ლ ი

ბილეთის ფასი, ქალისა თუ კაცისათვის, 2 მანეთია

დასაწყისი საღამოს 9 საათზე

ქალებს შეუძლიანთ გულ-დახურული კაბებით მოვიდნენ. ვისაც ჰსურს წინადვე იყიდოს ბილეთი, შეუძლიან მიმართოს შემდეგ პირთ: „**საზოგადოების**“ თავსმჯდომარეს, **ქ. ქ. მამაცოვს**, **ტუკიაში**, **საკუთარ სახლებში**; **თ. დ. ი. ავალოვს**, **თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკში**; **ხაზინადარს ვ. დ. თულაშვილს**, **ოლქის სასამართლოში** და **სეკრეტარს ნ. დ. ქანანოვს** „**ივერიის**“ **რედაქციაში**.

(5—2)

სენაკის უეზდში დ. სუჯუნას

დაიკარგა ლაფშა ფითელი ცხენი, ტანად საშუალი, ძუა-ფაფარი მოშავო, ძლიერ თოხარიკი (ორლა), დაღი აქვს მარცხენა უკანა ბარკალზედ,

ვინც ამ ცხენს აღმოაჩენს **ასს მანეთს** ფულს მიიღებს საჩუქრად; და რომელ საზოგადოებაშიაც აღმოჩნდება იქაურ შკოლას პატრონი ასს მანეთს სწირავს; დაიკარგა ოც-და-სამ სექტემბერში.

ცხენი ეკუთვნის ზემოხსენებულ დისა და სოფლის მცხოვრებს **თეოხარ მაურნალს**.

(6—2)

უმორჩილესად ვსთხოვ ყველა იმ პირებს, რომლებსაც კი უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიიდამ ნისიათ, ანუ კომისიით უეზდის ქალაქებში ანუ სხვაგან წიგნები აქვსთ წაღებული გასასყიდათ, დღეის შემდეგ იმ წიგნების ფული მე გამომიგზავნონ, რადგანაც უფ. ჩარკვიანთან თანამდებობა დავსტოვე და ყველა ის ნისიები, რაც კი ჩემს დროს გავიდა, მე გარდმოვიღე ჩემზე და სამაგიერო უკვე გადაუხადე.

Адресъ ჩემი: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“

(5—5) ზაქარია ჭიჭინაძე

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Ноября 1879 г. Типографія Мелитова ბეჭდმც. ს. მელიქიშვილი რედ. ს. ეესხი.